საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – გარემოსდაცვითი
ზედამხედველობის დეPARტამენტი

ოქმი № 092865

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ

ქ. ახალციხე (ოქმის შედგენის ადგილი) 10. აპრილი 2025 წ. (თარიღი)

ფ.ზ. ს/ს. ხოვრინოს საპატიოვების საფხიერების და ნაწილი ოკეანეების (ოქმის შემდგენლის თანამდებობა, სახელი, გვარი, მისამართი, ტელეფონი)

ინ. ანუოთიოვების ინ. კაფეფანის ეპეფანოვი [redacted]

სამართალდამრღვევი: [redacted] დან.

ბან. [redacted]

(ძოხაცემები სამართალდამღვევის შესახებ: ფიზიკური პირის შემთხვევაში – სახელი, გვარი, დაბადების

თარიღი, პირადი №, საცხოვრებელი ადგილი; იურიდიული პირის შემთხვევაში – მისი სახელწოდება, საიდენტიფიკაციო

ნომერი, იურიდიული მისამართი, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის მონაცემები)

გამოვავლინე, რომ შემოწმებულ წლის 06. აპრილს ახალციხის ავტოსადგომზე დაფიქსირდა
(სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი, დრო და არსი)

და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბრძანება №153-ზე შეფასებული შეფასებულ საფუძველზე ვამოწმებდით ინიციალების მოთხოვნილი მისამართზე ქ.ახალციხეში ფენ. სოფ. იყალთო, შემოწმებისას. 24 საათის და 576 ეთზე, სადაც ვამოწმებთ იმას მოქალაქე [redacted] ხოლოდ მისი კუთვნილი ეს ავტომობილი ავტომობილი №SS-250-S. აღმოჩენილია ავტომობილი ნიადაგის ფენაში. [redacted] 102³ და დაფიქსირდა იყო აქციზური მარკირება №[redacted] ს. ხოვრინოს შეუფერებელ და მოქალაქეს [redacted] დან.

[redacted] აქციზური და ეს ავტომობილი ავტომობილი დაიტაცა.

[redacted] ავტომობილი ნიადაგის ლიცენზიის ვადაზე.

საქმე # 150510025011413928

N4/43-25

10959336161997

www.ecd.court.ge

ახალქალაქის რაიონული სასამართლო
ქ.ახალქალაქი, მაშტოცის ქ.110

15.08.2025 წელი

ეს.ნ 2581

სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის
დეპარტამენტის სამცხე-ჯავახეთის რეგიონულ
სამმართველოს უფროს ბატონ ერეკლე ჭოხონელიძეს
მისამართი: ქახალციხე, ბექა ჯაყელის ქ. N16, ,

თქვენს მიერ 2025 წლის 06 აგვისტოს (შემ.N2128 11.08.25წ.) მომართვის პასუხად, გეგზავნებათ კანონიერ ძალაში შესული ახალქალაქის რაიონული სასამართლოს 2025 წლის 25 აპრილის №4/43-25 დადგენილების ასლი, ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ, მიმართ, N4/43-25 ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმეზე.

დანართი: კ/ძალაში შესული დადგენილების ასლი" 6 " ფურცლად.

პატივისცემით

ახალქალაქის რაიონული სასამართლო ს
მოსამართლის თანაშემწე

საქმე #150510025011413928
N4/43-25

10621227891149
www.ecd.court.ge

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა
საქართველოს სახელით

ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ

25 აპრილი, 2025 წელი

ქ. ახალქალაქი

ახალქალაქის რაიონული სასამართლო

მოსამართლე - არარატ ესოიან
სხდომის მდივანი -

ორგანოს დასახელება საიდანაც შემოვიდა საქმე - სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის სამცხე-ჯავახეთის რეგიონული სამმართველო, წარმომადგენელი -

პირი, რომლის მიმართაც შემოტანილია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის მასალები - (დაბ
მისამართი:

თარჯიმანი

სასამართლომ განიხილა მასალები ადმინისტრაციული სახდელის დადების თაობაზე, გათვალისწინებული ასკ-ის 57[1]-ე მუხლით,

1. გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

1.1. 2025 წლის 22 აპრილს, ახალქალაქის რაიონულ სასამართლოში, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის სამცხე-ჯავახეთის რეგიონული სამმართველოდან განსახილველად შემოვიდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის მასალები ს მიმართ, ადმინისტრაციული სახდელის დადების თაობაზე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 57[1]-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ფაქტზე.

წარმოდგენილი სამართალდარღვევის ოქმის თანახმად, მიმდინარე წლის 06 აპრილს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცხელ ხაზზე 153-ზე შესული შეტყობინების საფუძველზე სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის სამცხე-ჯავახეთის რეგიონული სამმართველოს თანამშრომლები გამოცხადდნენ ინიციატორის მითითებულ მისამართზე ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ ოკამის მიმდებარედ 14 საათსა და 57 წუთზე, სადაც გამოვლენილი იქნა მოქალაქე რომელმაც მისი კუთვნილი ექსკავატორით კატელპილარით სახ. N მოიპოვებდა ვულკანურ წიდას უკანონოდ. მოპოვებული ჰქონდა 10 $მ^3$ და დატვირთული იყო ა/მანქანა მერსედესი სახ. N რომლის მეპატრონე და მფლობელია (ბ/ნ . მცხოვრები : სოფელი ა/მანქანა და ექსკავატორი კატელპილარი დაილუქა. მოიპოვებდა ვულკანურ წიდას ლიცენზიის გარეშე.

აღნიშნულ ფაქტზე მიმართ 2025 წლის 10 აპრილს შედგა №092865 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 57^1-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ფაქტზე.

1.2. სასამართლო სხდომაზე გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის სამცხე-ჯავახეთის სამმართველოს წარმომადგენელმა მხარი დაუჭირა ოქმს და ითხოვა ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირისათვის მოცემული მუხლით გათვალისწინებული სახდელის დაკისრება. ასევე, გარემოზე მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

სასამართლო სხდომაზე ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული ანმარტა, რომ გააჩნია შესაბამისი ლიცენზია და ამ ლიცენზიის ფარგლებში კარიერში მუშაობისას შეეშალა საზღვრები და ექსკავატორი გასცდა საზღვრებს, სამართალდარღვევის ჩადენის რაიმე განზრახვა არ ჰქონია. შესაბამისად დაეთანხმა, რომ მოპოვებული 10 $მ^3$ ვულკანურ წიდა ამოღებულია არ არსებული ლიცენზიის ფარგლებში, არამედ იმ ადგილიდან სადაც ლიცენზია არ ჰქონდა. ამასთან იგი არ აღიარებს, რომ ჩადენილია სამართალდარღვევა,

1.3. თუმცა სასამართლო სხდომაზე გამოკვლეული მასალებით ნამდვილად დგინდება ვულკანური წიდის მოპოვება/ამოღება განხორციელდა ; კუთვნილი ექსკავატორით იმ ადგილიდან სადაც ლიცენზია არ ჰქონდა. ამასთან დადგენილია, რომ მოპოვებული ვულკანური წიდა დატვირთულია მერსედესის მარკის ავტომანქანაზე, რომელიც ეკუთვნის , ხოლო ეს უკანასკნელი წარმოადგენს ვულკანური წიდის შემძენს/ძყიდველს.

ოქმის შემდგენის წარმომადგენელმა მიუთითა, რომ აღნიშნული ექსკავატორი ფიგურირებს სხვა სამართალდარღვევის საქმეზე, ანუ ამ ექსკავატორით ასევე მოპოვებული იყო წიაღი უკანონოდ-ლიცენზიის გარეშე. რაზედაც

განმარტა, ექსკავატორი ქირით იყო გაცემული სხვა პირზე, რომელიც იყო დაჯარიმებული.

წარმოდგენილი გარემოსთვის მიყენებული ზიანის გამოანგარიშების მიხედვით ქმედებით (უკანონოდ წიაღის მოპოვებით) გარემოსთვის მიყენებულმა ზიანმა შეადგინა 235 ლარი.

2. სასამართლომ შეამოწმა რა საქმეში არსებული მასალები, სამართალდარღვევის ოქმი, დადასტურებულად მიიჩნია, რომ ცნობილი უნდა იქნეს ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 57[1]-ე მუხლით შემდეგ გარემოებათა გამო:

2.1. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 57[1]-ე მუხლის თანახმად, წიაღით სარგებლობა სათანადო ლიცენზიის გარეშე – გამოიწვევს დაჯარიმებას 2 000 ლარიდან 2 500 ლარამდე, სამართალდარღვევის იარაღის კონფისკაციით ან უამისოდ და სამართალდარღვევის ობიექტის (მყარი სასარგებლო წიაღისეულის) კონფისკაციით.

2.2. „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საქართველოს წიაღი სახელმწიფო საკუთრებაა. ამავე კანონის მე-6 მუხლის 2-ე ნაწილის თანახმად, წიაღი სარგებლობაში გაიცემა მხოლოდ სათანადო ნებართვის (ლიცენზიის) საფუძველზე.

"ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის "ა" პუნქტის შესაბამისად, ლიცენზიაა - ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე პირისათვის კანონით დადგენილი პირობების დაკმაყოფილების საფუძველზე მინიჭებული განსაზღვრული საქმიანობის განხორციელების უფლება, ხოლო ამავე მუხლის "ა. ა." ქვეპუნქტის შესაბამისად, სარგებლობის ლიცენზიაა - ლიცენზიის სახეობა, რომლითაც პირს ენიჭება ამ კანონით განსაზღვრული სახელმწიფო რესურსებით სარგებლობის უფლება.

2.3. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 236-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მტკიცებულებას წარმოადგენს ყველა ფაქტობრივი მონაცემი, რომელთა საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, ორგანო (თანამდებობის პირი) დაადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის არსებობას ან არარსებობას, პირის ბრალეულობას მის ჩადენაში და სხვა გარემოებებს, რომლებსაც მნიშვნელობა აქვს საქმის სწორად გადაწყვეტისათვის.

ამავე კოდექსის მეორე ნაწილის თანახმად ეს მონაცემები დადგინდება შემდეგი საშუალებებით: ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით, ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის ახსნა-განმარტებით, დაზარალებულისა და მოწმის ჩვენებებით, ექსპერტის დასკვნით, პოლიგრაფული, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული გამოკვლევის (ტესტირების) შედეგებით, ვიდეოფირით ან ფოტოფირით, ნივთიერი

მტკიცებულებით, ნივთისა და დოკუმენტის ამოღების ოქმით და სხვა დოკუმენტებით.

2.4. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის, ხოლო კონკრეტულ შემთხვევაში კი, მოცემული საქმის კანონიერი გადაწყვეტა, ემყარება საქმეზე შეკრებილ მტკიცებულებებს, რომელთა გამოკვლევისა და შეფასების საფუძველზე ხდება საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენა. ფაქტობრივი გარემოებების სწორ დადგენაზეა დამოკიდებული სასამართლოს მიერ ქმედებისათვის სწორი იურიდიული კვალიფიკაციის მიცემა. აღნიშნულიდან გამომდინარე, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სასამართლოს მიერ საქმეზე ფაქტების კვალიფიციურ დადგენას, საქმეში დაცული მტკიცებულებების სწორ შეფასებას.

2.5. წარმოდგენილი ოქმით, თანდართული მასალებით და მხარეთა განმარტებებით დადგენილია, რომ მიმდინარე წლის 06 აპრილს ოკამის ვულკანური წიდის საბადოზე უკანონოდ (სათანადო ლიცენზიის გარეშე) მოიპოვა 10 m^3 ვულკანური წიდა, რეალიზაციის მიზნით და მისი ქმედებით გარემოსთვის მიყენებულმა ზიანმა შეადგინა 235 ლარი. ხოლო მოპოვების იარაღია - ექსკავატორი სახ. ნომრით

ამდენად, სასამართლოს მიაჩნია, რომ ქმედება შეიცავს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 57^1-ე მუხლით გათვალისწინებული დარღვევის ნიშნებს, რის გამოც მას უნდა დაეკისროს შესაბამისი სახდელი.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 33-ე მუხლის შესაბამისად, სახდელის დადებისას მხედველობაში მიიღება ჩადენილი სამართალდარღვევის ხასიათი, დამრღვევის პიროვნება, მისი ბრალის ხარისხი, ქონებრივი მდგომარეობა, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებანი.

მოცემულ შემთხვევაში სასამართლოს მიაჩნია, რომ სამართალდარღვევის თაობაზე საქმის გარემოებათა მიხედვით, ადმინისტრაციული სახდელის სახით უნდა დაეკისროს ჯარიმა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 57^1-ე მუხლით გათვალისწინებული სანქციის ფარგლებში, მინიმუმზე მეტი - 2 100 ლარის ოდენობით. სასამართლო მხედველობაში იღებს, ის რომ არის ადმინისტრაციულად სახდელდადებული, არ აღიარებს და არ ინანიებს ჩადენილს.

2.6. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 40-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად თუ ადმინისტრაციულმა სამართალდამრღვევმა ქონებრივი ზიანი მიაყენა მოქალაქეს, საწარმოს, დაწესებულებას, ორგანიზაციას ან სახელმწიფოს, მაშინ მოსამართლე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისათვის სახდელის დადების საკითხის გადაწყვეტისას ვალდებულია სამართალდამრღვევს იმავდროულად დააკისროს მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურების ვალდებულება.

მოცემულ შემთხვევაში, უკანონო ქმედებით გარემოზე მიყენებულმა ზიანმა შეადგინა 235 ლარი, რაც დასტურდება საქმეში არსებული წიდის უკანონოდ მოპოვებით გარემოსთვის მიყენებული ზიანის გამოანგარიშებით (14/04/2025 DES 9 25 00020334), ამიტომ უნდა დაეკისროს აღნიშნული ზიანის ანაზღაურება.

2.7. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 29-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ საგნის კონფისკაცია, რომელიც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის იარაღი, უშუალო ობიექტი ან საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის დარღვევის საგანი, საქონლის ტრანსპორტირებისა და მიწოდების საშუალება იყო (გარდა ამ კოდექსის 153[6] მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საგნისა), მდგომარეობს მის სახელმწიფოს საკუთრებაში იძულებით, უსასყიდლოდ გადაცემაში. კონფისკაციას ექვემდებარება მხოლოდ სამართალდამრღვევის პირად საკუთრებაში არსებული საგანი, თუ საქართველოს საკანონმდებლო აქტებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ამასთან გასათვალისწინებელი საკონსტიტუციო სასამართლოს 12.11.2020 N1/12/1475 გადაწყვეტილება.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 57[1]-ე მუხლის სანქცია ითვალისწინებს სამართალდარღვევის იარაღის კონფისკაციით ან უამისოდ და სამართალდარღვევის ობიექტის (მყარი სასარგებლო წიაღისეულის) კონფისკაციით.

შესაბამისად აუცილებლად კონფისკაციას უნდა დაექვემდებაროს ჩამორთმეული 10 $м^3$ უკანონოდ მოპოვებული ვულკანური წიდა.

რაც შეეხება დროებით ჩამორთმეულ ტექნიკას, სასამართლო აღნიშნავს, რომ ექსკავატორი ((მუხლუხებიანი) კატელპილარი ყვითელი ფერის სახ.ნომრით წარმოადგენს სამართალდარღვევის იარაღს, ხოლო სახ. ნომრით მერსედესის მარკის ავტომანქანა არ წარმოადგენს სამართალდარღვევის იარაღს, შესაბამისად მერსედესის მარკის ავტომანქანა უნდა დაუბრუნდეს მეპატრონეს (პ/ნ

რაც შეეხება ექსკავატორს, მისი ღირებულება იმდენად მეტია ვიდრე მიყენებული ზიანი და ექსკავატორის კონფისკაცია იქნება არაადეკვატური და იწვევს მეწარმისათვის შეუსაბამოდ დიდ ზიანს. აქედან გამომდინარე ექსკავატორიც უნდა დაუბრუნდეს მეპატრონეს

სარეზოლუციო ნაწილი:

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 27-ე, 29-ე, მე-40, 57[1]-ე, 266-267-ე, 271-ე, 273-ე, 290-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. ცნობილ იქნას ადმინისტრაციულ სამაოთალდამრღვევად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა

კოდექსის 57[1]-ე მუხლით გათვალისწინებული გადაცდომის ჩადენაში და ადმინისტრაციული სახდელის სახით განესაზღვროს ჯარიმა 2100 (ორი ათას ასი) ლარის ოდენობით;

2. განემარტოს სამართალდამრღვევს, რომ მან დაკისრებული სახდელი (ჯარიმა) უნდა გადაიხადოს დადგენილების მისთვის ჩაბარებიდან არა უგვიანეს 7 (შვიდი) დღისა. თანხა უნდა ჩაირიცხოს ცენტრალურ ბიუჯეტში, სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი TRESGE22, სახაზინო კოდი №302003541; თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი (ქვითარი) წარმოდგენილ იქნეს ახალქალაქის რაიონული სასამართლოში, წინააღმდეგ შემთხვევაში დადგენილება მიექცევა იძულებით აღსასრულებლად;

3. , დაეკისროს გარემოზე მიყენებული ზიანის ანაზღაურების გადახდა 235 ლარის ოდენობით. თანხა ჩაირიცხოს ცენტრალურ ბიუჯეტში დადგენილებიდან 15 დღეში, სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი TRESGE22, სახაზინო კოდი №302003581; თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი (ქვითარი) წარმოდგენილ იქნეს ახალქალაქის რაიონული სასამართლოში, წინააღმდეგ შემთხვევაში დადგენილება მიექცევა იძულებით აღსასრულებლად;

4. კონფისკაციას დაექვემდებაროს ჩამორთმეული 10 m^3 უკანონოდ მოპოვებული ვულკანური წიდა (ინახება სოფელ ოკამის მიმდებარედ);

5. დროებით ჩამორთმეული ექსკავატორი (მუხლუხებიანი) კატელპილარი ყვითელი ფერის სახ.ნომრით დაუბრუნდეს მეპატრონეს

დროებით ჩამორთმეული ავტომანქანა მერსედესი სახ.ნომერი დაუბრუნდეს მეპატრონეს

6. დადგენილების ასლი გადაეგზავნოს სამართალდამრღვევს, სამართალდარღვევის ოქმის შემდგენს და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ანალიტიკურ დეპარტამენტს;

7. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში (ქ. თბილისი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი №7ა), მისი მხარეთათვის ჩაბარებიდან 10 (ათი) დღის ვადაში ახალქალაქის რაიონული სასამართლოს მეშვეობით (ქ. ახალქალაქი, მაშტოცის ქ. №110).

მოსამართლე

არარატ ესოიან

ასლი დედანთან სწორია
შესულია კანონიერ ძალაში
ახალქ.
ხელმოწ.
15 06 2015

რაც არის:

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 57¹-ე მუხლი.

_____ დარღვევა,

(მუხლი ან/და მუხლის ნაწილი)

ნარჩენების მართვის კოდექსის _____

_____ დარღვევა.

(მუხლი ან/და მუხლის ნაწილი)

სამართალდამრღვევს განემარტა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლით გათვალისწინებული უფლებები და მოვალეობები.

სამართალდამრღვევის ახსნა-განმარტება:

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

მოწმეებს (მათი არსებობის შემთხვევაში) განემარტათ თავიანთი უფლება-მოვალეობები, გათვალისწინებული საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 256-ე მუხლით.

_____

(მოწმის სახელი, გვარი, დაბადების თარიღი და მისამართი)

_____

ჩამორთმეულ და დალუქულ იქნა შემდეგი ნივთები და დოკუმენტები (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

1) ელექტრონული კალკულატორი ბბ №. _____ და 10 ? ელექტრონული ნიდა. და ამანის ფასიანი ბბ №

_____

მოწმეები (თუ ისინი ესწრებიან): _____

(ხელმოწერა)

_____

ოქმის შემდგენელი: _____

სამართალდამრღვევი: _____

(ხელმოწერა)

ოქმის ერთი პირი მივიღე: _____

(ხელმოწერა)